

მ ა ყ ვ ა ლ ა  
კ ო ჭ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი

# ლექსები

თბილისი  
2011

მასალის მოწოდებისათვის მაღლობას მოვახ-  
სენებთ ავტორის ახლო მეგობრებს: პირველ ყოვლისა,  
მარინა ვაჩნაძეს, რომელსაც ავტორმა თავისი ხელით  
გადაუწერა ლექსების ძირითადი ნაწილი, აგრეთვე  
ნინო ლვალაძეს, ლია ყაზახაშვილს და რუსუდან  
ჩოლოყაშვილს.

რედაქტორი: შუქრა აფრიდონიძე

© შ. აფრიდონიძე

ISBN 978-9941-0-4003-0

## რედაქტორისაგან

მეგობრების სახელით

წინამდებარე ლექსების ავტორი, **მაყვალა კოჭლაგაშვილი**, ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან. იგი ტრადიციულ კულტურულ ოჯახში აღიზარდა. განათლებით ფილოლოგი იყო. სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორისტიკის განყოფილებაში. დიდი შრომა გასწია როგორც ფოლკლორული მასალის შეკრებასა და დამუშავებაში, ისე, და განსაკუთრებით, ხალხურ პოეზიაში გამოყენებულ მხატვრულ სახეთა და პოეტიკურ საშუალებათა დრმა, კვალიფიციურ პედაგოგი, რასაც მოწმობს მისი პუბლიკაციები და თითქმის ბოლომდე მიყვანილი დისერტაცია.

ლექსები ძირითადად გასული საუკუნის 60-იან წლებშია დაწერილი. მიზეზთა გამო მას აქეთ თითქმის ადარაფერი დაუწერია, გარდა თითო-ოროლა მიძღვნითი ლექსისა, რომლებიც ამ კრებულშიც შევიდა.

მაყვალა კოჭლაგაშვილის ლექსები კრებულის სახით პირველად ქვეყნება. მხოლოდ რამდენიმე ლექსია დაბეჭდილი სხვადასხვა დროს (1960-იან წლებში „ლიტერატურულ საქართველოში“, 2000-იან წლებში – გაზეთ „კალმასობაში“).

ცალკე გამოყოფა მოითხოვა ე. წ. „სალაფობო“ ლექსებმა, რომლებშიც შევიდა სახალისოდ, მართლაც „სალაფობოდ“ და „მსახანაგთა საორეველად“ შექმნილი ლექსები.

დექსების ეს კრებული მოამზადეს მაყვალა კოჭლავაშვილის უახლოესმა მეგობრებმა, რომლებიც მათი შექმნის მომსწრები და გულშემატკივრები იყვნენ. ცალკე წიგნად შეკვრა და გამოცემა მათ თავიანთი საყვარელი, ფაქიზი სულის „შვლისთვალება“ (უცხოელი ქართველობობის ზუსტი დახასიათებით) მეგობრის სახსოვრად და მისი სახელის უკვდავყოფის შპერეს გზად მიიჩნიეს.

\* \* \*

ჩიტმა მოხაზა ლადი კამარა,  
გრძნობამ ხელახლა გამათამამა.  
თაგზე მარტყიძი ნატიფი ია,  
კაბად მაცვია შვიდიფა სვია.  
სავსე ვარ რისხვით და სიყვარულით,  
თავი მგონია ტყეთა ასული,  
მაკლია მისი დაჭრილი გული  
და სალამური.

**1960**

\* \* \*

ლამაზი არა ხარ,  
მაგრამ ეგ თვალები,  
რა ვქნა, რომ ლამაზად  
შენვე გაცხადებენ.  
არ ვიცი, ვგიუდები,  
თუ ისე ვბრმავდები, —  
ჩემს ცოდვებს, ჩემს ბოდვებს  
შენ დაგაბრალებენ!

**1961**

## დაგითგარეჯი

\* \* \*

გარეჯმა გამყარა საბურავი,  
გადამავიწყა ქვეყნად სამდურავი.  
ბუმბერაზ ლოდებში ლამაზად ათლილი  
ჩახდნენ გარეჯის ნაშენნი სართულნი.  
თითქოს ცას გაეკრა სენაკის ფანჯარა,  
ლაჟვარდი იქცევა ცისფერა ცალთვალად.  
ჩემი წინაპარი აქ ლამაზ ქართულით  
ლოცავდა ქვეყანას!  
თითქოს ცას გაეკრნენ ნატიფნი სართულნი!

\* \* \*

სულმოუთქმელად ავდიოდი.  
დაკაწრულ ხელზე  
მე სისხლს მიშრობდა  
გარეჯის ქარი.  
კლდის ნაფეხურებს აჩნდათ  
რაღაც უცნობი კვალი.  
თითქოს ვხედავდი წმინდათა მამათ,  
თითქოს მესმოდა წირვანი ქართლის.  
მე ბნელ სენაკში უცებ ვიგრძენ  
ცხოვრება მათი  
და შემომესმა გუგუნი ზარის.

\* \* \*

სწორედ ამ ნაპრალზე,  
ასეთ ლამაზ გაზაფხულის პირად...  
ნება-ნება მოჰყვებოდნენ ბილიკს  
და ღიღინით უგალობდნენ იათ!  
თავს დახრიდნენ ამ ღიღ ლოდის გვერდით,  
ემთხვეოდნენ გაქვავებულთ წმინდანთ.  
და ცრემლები უსველებდათ უპეს,  
სწორედ ასეთ გაზაფხულის პირად!

**1961**

\* \* \*

როცა დაიგვიანებდა წვიმა  
და წელის მოსატანად  
წავიდოდნენ კლდეში ბერები,  
პეშვით იღებდნენ ცივ წყალს,  
არ ეშინოდათ ქვეუნად არაფრის,  
მათ გვერდით ხშირად სრიალებდნენ  
თვინიერი გველები.

**1961**

\* \* \*

და ვარ უდაბნოსა შიგან,  
ვითარცა უბედური ყამარ.  
და მაქვს სიცილი ქაჯის,  
რომელსაც ღმერთები დასჯის.  
და მარტყია მე შენი ხელი,  
და ვიწვი მე სუნთქვით შენით.  
მინდა, რომ შენს ხელში დავდნე,  
მინდა, გადავიქცე ფერფლად!  
მინდა, რომ შენ სეტყვას პიავდე,  
როცა ბრაზობ ხოლმე ჩემთან.  
და ვარდების ფერად რომ ვძლანდავ  
ცისფერს, უსათუოდ ცისფერს,  
ვცდილობ, რომ შეეგრძნო ლაჟვარდს,  
რომ ცის მეფემ მიგიზიდოს თვისკენ.  
ლაჟვარდთან კი შენ ვერ მიხვალ, ვერა.  
ცის ცხოვრებით რას დასცხერები, აბა!  
და ვიქნები უდაბნოსა შიგან  
ლოცვით განაწამები ყამარ...

1961

\* \* \*

მე და კელაპტარი!  
მე და ღმერთი!  
ჩემთან დაინთება  
სანთელი  
ერთი;  
სანთელი  
შენი,  
მკრთალი,  
თხელი.  
სანთელი!  
ირგვლივ ტრიალებს ჯარა.  
ცრემლებთან ვიბრძვი.  
არაფერს  
ამბობს  
ახალს  
გული,  
ტკივილი ვიცოდი ამაზე დიდიც.  
ჩემთან დაინთება  
სანთელი  
შენი,  
მკრთალი,  
თხელი,  
სანთელი!

1961

\* \* \*

ცა...

ცა...

ცა...

შეკივლება გამჭვირვალე დღის.

ჩემი სიშორე ასე თუ გალავს,

მზეთა დღეს გამოდი!

დავეძებ ღრუბელთა კვალს,

თანა მდევს კასკასი ცის.

ცისფერი, ცისფერი,

ცას ხაზავს

ცათა ცა

და აფრქვევს ციაგებს

ფოთლები ხის.

1961

\* \* \*

დაკრეს თასები! დაკრეს თასები!  
ცათ დარბაზები იდღეობენ  
დრეობას მუხტალს.  
სად მზე დაიწვის, სად ზეცა წივის,  
გრძნეული ხმები გაკივიან  
სხვადასხვა მუხლანს!  
ისმენენ განვლილს, ისმენენ განცდილს,  
მარად დალეწილ სულების ძახილს.  
მინდა გადვეშვე მათ დელვის ტაქტში  
და ვნებანარევთ დაგუკრა ტაში!  
სუჟექტაფერი ემსგავსება  
დრეობას მუხტალს,  
სხვადასხვა სული გიუჟრ ძახილს  
აყოლებს ნაღველს!  
ჩამოგრაგნილი, ცივი ზეცის  
საბრძანებლიდან,  
მესმის, თუ როგორ ტეხავენ დამეს!

1961

\* \* \*

ალი, ალი,  
ლურჯ-მოშავო გზა...  
ფიფქებს მაყრის ქარი,  
შორით ბჟუტავს წენეთის გზა,  
მათბობს კვამლი.  
ალი, ალი,  
გარდისფერი ოცნებათა გზა!  
ეშმაკური ცემა ფიჩხთა ჯარის!  
დამტრიალებს ციბრუტივით  
ნაკვერჩხალთა ზღვა.  
ნუ გგონია, რომ დავიწვა თავი!

1962

\* \* \*

გარეუბანი.

წადილთა დარი.

ატაცებულნი იდგნენ შიშველი ხეები.

ვგრძნობდი, როგორ უჩქეფდათ ძარღვებში  
სილტოლგე ცად.

მეწამული ფერი სპეტაკ ცისფერში.

აბრკყვინვებული, დაღარული  
ტრამვაის გზა.

თავი მეგონა ცისფერი განწყობის ბაღში,  
მმასპინძლობდა მზე.

დიდხანს მაყურე ხეთა მეწამულ ფერს!

**1962**

\* \* \*

ნელა, თორემ ვალსებმა  
ჩამიქრეს ბრა.  
ირწევიან ჩრდილები,  
თავბრუ ესხმის ქარს.  
დაინთება სურვილი,  
გადაევლო მთას,  
რიტმი ეალერსება  
ჩრდილთა ზღვას.

1962

\* \* \*

მან თქვა,  
ვნახოთო... და წავიდა...  
კანკალებს მთვარე სიცილით,  
ქარმა დაჲფინა ჩრდილებით.  
სულ გაწვა დრო ქარზე  
და სადღაც გკარგავს,  
ფოთლებში ქარის სუნთქვას ვხედავ,  
გადარბის ჩრდილები,  
ვიპოვე,  
ეს გრძელი კისერით – მე ვარ!

1962

\* \* \*

გადასასვლელთან ის დგას,  
მელოდება მე,  
გადასასვლელთან ნისლმა გადაიხარხარა.  
რატომდაც დასწვა მზემ ლამაზი გედი  
და შავ ღრუბლებს დააყარა.  
ლამე მელოდება მე,  
ლამე ტირის ცა,  
მთებს ბილიკად აეკიდა ხმა.  
ვიღაცა იცინის...  
არა, მე არ მოვალ გადასასვლელთან.  
ვბერავ ღრუბელს, ემსგავსება ხარს.  
მინდა – ურქენს სხივებს, მინდა – მთას,  
და ენთო გზებზე ცეცხლი, დღე მიდის.  
ნუთუ არავის ვეტყვი,  
რომ შენ ჩემთვის მზე ხარ!  
გადაიხარხარა ღრუბელმა და გაიხლია.  
ამხელა ცა და არაა ჩემი.  
მინდა დავთელო.  
ლამე მელოდება მე,  
ლამე ტირის ცა.  
არა, მე არ მოვალ გადასასვლელთან.

1962

## ანჩისხატი

სიონის თბილისი,  
უბანი ძველთა.  
ჩახრუხაძე, ორბელიანი, ერეკლე მეორე.  
მხრები ზომავენ ქუჩების განს.  
შუშაბანდი წარწერით:  
„ფრთხილად, არ დააჯახოთ მანქანა!“  
ასფალტი ეკრობა ფეხს.  
გადადის ქუჩაზე ანნა და იოჰან,  
სევდის რასა. იესო ეწამა.  
დარჩათ თვალებში მარადი სევდა.  
ქუჩებში ერთხმად უკრავენ  
ბეთოვენს, შოპენს, მოცარტს და ბახს.  
მთელი ოინებით ვარიდებ თავს  
გაფენილ სარეცხს.  
და ისევ წარწერა:  
„აქ ცხოვრობდა 1843-45 წლებში  
გამოჩენილი ქართველი პოეტი  
ნიკოლოზ ბარათაშვილი“.  
დამეწყო სურვილი – საუკუნის გადათვლა:  
დილით ბრუნდებოდა ნაქიფარი,  
ღვინით ცდილობდა დარდის განქარვებას.  
განცდილს ლექსებად უხვევდა თვალს,  
გაბეზრებული ხშირად აკითხავდა  
მთაწმინდას,  
აგ ზნებული მერანს მიაფრენდა ცად.  
მექზოვეს დაეწყო რწყვა,  
გაკვირვებული თვალები.  
დიდხანს გმდგარვარ კარებთან წარწერით:  
„აქ ცხოვრობდა გამოჩენილი  
ქართველი პოეტი  
ნიკოლოზ ბარათაშვილი“.

## სვანეთი

\* \* \*

დღეს მარტო ვრჩები.  
მთებიდან მთებზე ეშვებიან დევები:  
ღრეობა აქვთ.

ენგურს გადმოალაჯა მთვარები.  
დევებმა ნაბდებად მთები დაღუნეს  
და საოცრად გაანაზა ენგურის ხმა  
იმათ ხარხარმა.

მე დღეს მარტო ვარ,  
დევებთან დაკრჩი და შენ გიგონებ.  
ჩალუხავ! მალე დასცალე ყანწი!  
მინდა, რომ დავთვრე!  
რახით დევთა ვარ ამალაში,  
მზე მოვიტაცეთ და მთებს იქით  
გავტყორცნეთ...  
ჩალუხამ ცალი წარბი მოღუშა,  
მუშვან! სადა ხარ! –  
მინდოდა მეყვირა,  
მაგრამ წუხილიც დევებმა წამართვეს.

1962

\* \* \*

ალმოდებული დღე მზეს უცინის.  
ლოდები წვანან.  
დაუტორავთ მთების ფერდები.  
მუშან, სადა ხარ!  
შენში ენგურის სხეული ბრწყინავს  
ხევ-ხევ ჩამორბის დევი,  
ხევ-ხევ მთათ მოარხევს.  
ამ ლოდებთან დააგუბეს ენგური,  
ამ ლოდებთან ოქროს ვერძებმა  
კლდები შელეწეს.  
ცა ისე ახლოა, რომ შენზე სუნთქავს.  
ჯიხვებმა ჭიდილით მზე  
რქებზე აიცვეს.  
მთაზე გაკრული ლამარია  
თეთრად იწვოდა.  
და წამოვენთვე, თითქოს  
თამარის ნახვას ველოდე.

1962

\* \* \*

ლამარია...  
დამყვები თეთრი დიმილივით.  
ლამარია...  
ნატიფად გაკრული ცად.  
გელები მკათათვემ ალერდებით ალია,  
ძნას გადაეკიდა ძნა.  
მთებში ვიკარგები. ისეთი წია ვარ,  
რომ ვეღარ ვიბრუნებ თავს.  
კოშკები მდუმარებენ,  
კოშკები მზირავენ  
და დოღვით მივყვები მთას.

**1962**

\* \* \*

სადღაც წიოდა ძნა,  
გადადიოდა დღე მთების ზურგზე,  
იწვოდა ცა  
და სილამაზისაგან

ლოდები ტიროდნენ.

გადადიოდა დღე ენგურის ზურგზე,  
ბეწვის ხილით ქვესქნელს ვქანაობდი.  
იდგა ზვინები ქერის,  
ქერის ფანტელში მზე ლაცლაცებდა  
და სვანი ქალი ფოცხით ხელში  
მზეს სიცხოველეს სტაცებდა.

სადღაც წიოდა ცელი,  
ძნას ეკიდებოდა ძნა.

გადადიოდა დღე მთების ზურგზე.  
იწვოდა ცა...  
და სილამაზისაგან

ლოდები ტიროდნენ.

1962

\* \* \*

სიცილი ზეცის,  
ყველაფერი წმიდათაწმიდა.  
იძირება მზე მთების ალერსში.  
დევებმა ჩამძახეს – უშბას ავწევთო,  
მაგრამ უშბაში გაქვავდნენ დევები.  
ენგურმა დრიალით ლოდებს  
რაღაც ახარა  
და აბრჭყვინდნენ ცისარტყელები  
ლოდებთან.  
სილუეტები მზეწამოსხმული მთების,  
როკავენ ხევებში ხეები  
დევებმა – უშბას ავწევთო,  
მაგრამ თქვეს და...  
გაქვავდნენ დევებიც.

**1962**

\* \* \*

მინდორზე იწვა მთა.  
სახე-მთა უცინოდა მზეს.  
და მიჰქროდა ტოტებშუა განწყობა.  
ხეები მისდევდნენ ხევს,  
მთა-ცხვირი უცინოდა მზეს  
და ეგუბუნებოდა ათას სისულელეს.  
მთა-ცხვირს თვალებად ცა აქს  
და ცისფერი ოცნება.  
მთებს ატყდებათ სიმაღლე,  
ხეები მისდევენ ხევს,  
ხეები მომდევენ მეც  
და ვერ მეწევიან,  
სახე-მთა მიცინის მე,  
სახე-მთა უცინის მზეს,  
და მიჰქრის განწყობა ტოტებშუა.

1962

\* \* \*

რა უნებართვოდ გიცინიან  
ჩემი თვალები,  
ცაზე გაკრული სიხარულით  
ხმას ვეღარ ვიღებ.  
ო, ვარსკვლავები, რა ახლოს  
აბრჭყვინდნენ,  
როგორი ციმციმით ცვივიან  
ვარსკვლავები...  
ძირს მიწა სუნთქავს,  
ცა პი ტრიალებს.  
შენ მე მიცინი უცხო სიცილით,  
შენს თვალებში გვრთი.  
ო, ვარსკვლავები, რა ახლოს  
აბრჭყვინდნენ!  
როგორი ციმციმით ცვივიან  
ვარსკვლავები...

1962

\* \* \*

შენ მოხველ,  
შემოხველ,  
ლოდინი მოცელე,  
იდგა მზე.  
ფიქრებს ლოცავდა ოცნება,  
დალეწილ თავთავთა ალმურით ამმალე,  
ცა გაკროცილი სურვილებს ფორცხნიდა.  
იდგა ზღაპარი,  
ლურჯ კორიანტელს  
ლეწავდა დრუბლებით ჩემი ნემეზიდა.  
ყვითელი ზმორებით გამკრთალი დღე  
ოქტომბერს სიცილით ამოეზიდა.

**1962**

\* \* \*

ერეკება დღეებს ნოემბერი,  
ხეების თითებში დატეხილი  
წახნაგები კედელის.  
მქონდა ბავშვობაში გატაცებად,  
კედელზე გაბერილი მთვარე მენახა.  
ერეკება დღეებს ნოემბერი,  
ყველაზე ძვირფასს გული ინახავს.  
გელოდება...  
მაინც გეშინია,  
იქნებ ჩვენებაა კედელზე გაკრული.  
მწვანე თვალები სუნთქავენ სიცილით.  
რაღაც გაუტეხელს ტერფავს შემოდგომა,  
ხეებს თითებში შერჩათ კედელი.

1962

\* \* \*

ხარ აღმართული,  
როგორც ქანდაკება ბერძნების,  
ქორივით დამყურებ თავზე-  
მეუბნები, ვარ ნაპოვნი  
შორეული სამარხი,  
რომელზეც შარშან ჩაგდახეს ხევებმა.  
ზმორებით დაფლითეს საღამო ტოტებმა.  
არა, მე ვერ ავალ ქალდმერთამდე!

შენ ხარ აღმართული,  
როგორც ქანდაკება ბერძნების,  
და შენი პასუხი ერთია ჩემზე –  
მე ვარ ნანატრი  
შორეული სამარხი,  
შენთვის ყველაზე  
საშიში ქალის.

1962

\* \* \*

მირბის...  
ქარი ასწრებს...  
ასძახებს:  
— ფრთხილად,  
უკან მოგდევს!  
მირბის...  
სიცილი აქვს ატმის,  
ნაწნავებად — ძნა.  
ფოთლები ჩურჩულებენ,  
როგორ უყვარხარ!  
გოგონა იცინის  
და არ სჯერა.  
გაფრინდნენ წლები...  
ალვასთან ჭორაობს ქარი,  
რომ ერთი კაცი და ერთი ქალი  
ცალ-ცალკე დიდხანს  
უვლიდნენ გზას.

1962

\* \* \*

შენ მოხვალ,  
ლამეა მგლის,  
დააპე შეშა...  
არ შერჩე დიდხანს მოებს:  
მგლებიაო კლდეკარს.  
შენ ჩემი სიშორე ეჭვებით გდრდნის,  
მაგრამ არასდროს არ მეტყვი ამას.  
გიხვდები ფიქრს.  
ბევრი სიტყვა ცრიცავს გრძნობებს,  
დავემსგავსებით გაშვლეპილ ხეებს.  
შენ მოხვალ,  
ლამეა მგლის,  
დააპე შეშა...  
წახვალ და ჩუმი ფიქრებით  
ტოტებში ჩახლართავ მზეს და  
არასოდეს არ მეტყვი ამას.  
და ვემსგავსებით ძღუმარე სფინქსებს  
და მსხვერპლებს ვითხოვთ...

1962

\* \* \*

გაშველებილ ხეებს ქარი პკოცნიდა.  
გაკეზე მირბოდა ჩრდილი ღალატის,  
ღრუბლები ხაზავდნენ უთვალავ რვიანს.  
ზეცა დამთვრალა, თუ დამათრო  
ქართან ჭიდილმა.  
ეველა ემთხვევა ხატებს,  
ლოცულობს სანთლებზე ობობაც.  
უპიდებს ცეცხლებს ატაცულ ფოთლებს  
მოქანცული მზე.  
ღაწვებზე ღრუბლებს იფაკლებს დდგ.  
ამხელა დარდი! რატომ? თუ არ გიყვარდი?  
შენ, როგორც ღმერთმა გაცისკრებულმა,  
შემოდგი ფეხი.  
ჩვენ ერთად შევთხევთ დიდი ზღაპარი,  
ლეწავდა ფარდაგს მზე დატოტვილი  
და დამავიწყდა, რომ შემოდგომით  
ზღაპარია ძალიან ტკბილი,  
და მერე ქრება.  
აკინძულ თვალებს ვერაფერი ვეღარ  
დააბნევს,  
და ქალღმერთი ქუში შეგრისხავს.  
გაწვნენ მუხლებზე ჩემი ალვები.  
ქარი ჩურჩულებს ელდაპრული:  
მზემ რად შეგრისხათ?  
შემოდგომაზე ზღაპარია ძალიან ტკბილი,  
– მზე ფანტელებად აბრდდვიალებს  
დახაზულ პარკეტს  
და ყვირის ვიღაც გადამთიელი:  
– მზემ რად შეგრისხათ?!

1962

\* \* \*

წვიმს...

წამწამებზე გადარბის წვიმა.  
გადმოუხატავს ქვაფენილს თაღი.  
გზა არის სწორი,  
მანქანის ფარში იცინის ქუჩა.  
გუბეში კითხვებს ყრიან ტოტები,  
და მეც ჩავყარე.  
წვიმს...

წამწამებზე გადარბის წვიმა.

1963

\* \* \*

დიდი ხმაურით ზღვაში ყვინთავს,  
ნაპირთანაა მოდგმული მზე...  
ზღვა, ქვიშა და მე...  
აქ ყველაფერი მარტივად წყდება –  
ემორჩილება ზღვას!  
შენც ირეპლები ტალღების სმაში  
მზით ატყორცნილი.  
ვეღარ ვმალავ შენს სიყვარულსაც.  
შხეფებში ტყდება იის სხივები,  
ჩამოდის მზე  
და მეჩურჩულება შენზე ტალღებში  
ათას სისულელეს.

1963

\* \* \*

დღეს სამუდამოდ მივდივარ შენგან.  
მზეზე კრთებიან მკრთალი თითები...  
კაცუნობს ბრაზი და ესეც წავა.  
მერე იტყვიან... სიყვარული დრომ გადალია.  
რას ჩურჩულებენ მზის გასაყართან  
შენი თითები,  
როგორ გაქრება ყველაფერი და  
როგორ წავა.  
მომიახლოვდი, ხელი მოგხვიო.  
იცი, რამდენი რამ მაქვს სათქმელი.  
შენ ვერც ამჩნევდი, ზოგჯერ ისეთი  
უცხო იყავი  
და მე მიკვირდა, თუ რა მქონდა  
შენთან საერთო.  
დღეს ფითრდებიან შენი თვალები  
მზის გასაყართან,  
დღეს სულ გშორდები,  
დღეს მიყვარხარ ისე უდონოდ...  
მომიახლოვდი, მოგეალერსო,  
თან შენს სუნთქვაზე ჩამოვეყრდნობი  
და მოგიყვები ათასგვარ ამბავს,  
შენ ვერ გაიგებ ნახვარზე მეტს  
და დამტანჯავენ შენი თვალები,  
გადაქცეული მრგვალ შეკითხვებად.  
და ასე წახვალ,  
დღეებიც გავა,  
არ მობრუნდები.  
და იკივლებენ ჩუმი კივილით  
ფართო ფოთლები,

შედოცვილივით ხეს მიყრდნობილნი,  
და მომინდება, ვყოფილიყავ  
სულელი ბავშვი,  
არ ავყოლოდი არავითარ წესს  
და მეთქვა შენთვის ყველაფერი,  
რაც მაწვალებდა.  
იქნება მაშინ არ დამკარგოდი,  
იქნება მაშინ გარკვეულიყო  
ათასი რამე.

**1964**

\* \* \*

აღარაფერზე აღარ ვიფიქრებ.  
დღის მიწურულში ინთებიან  
ცაზე ოვალები და ცა მიყურებს.  
ნებავი დადგეს მალე ზამთარი,  
რომ გავკრახმალდე მსუსხავ ყინვაში  
და ავბრჭყვიალდე ნაძვის ხესავით!  
მერე მოვიდეს მხიარული თოვლის ბაბუა,  
ჭრელი ამბების გუდა მომიყვეს.  
გადამავიწყოს სუსკელაფერი,  
ახალი წელის სუნთქვა შემოჰყვეს.  
მხიარულად ოვალი ჩამიკრან  
მოგრძო სანთლებმა,  
ნაძვის ხის სუნთქვა თმებზე მომედოს  
და სიყვარული დამჩურჩულოს  
თოვლის ბაბუამ.

1964

\* \* \*

ქარი მოგვდევდა.  
მუქ გზებზე ალექსილი მორბოდა მზე...  
მთებს მოჰყვებოდნენ გიუური ლანდები  
აალებული მზერით.  
თითქოს მინახავს სადღაც ეს დღე,  
ასეთი ნაცნობი ფერებით სავსე  
და ვფიორდები მათი ფერებით.  
სიხარულმა უცებ მოხუჭა  
წამით თვალები  
და გრძელი ქარი შემომახვია.  
მზემ გადმომხედა ფართო თვალებით  
დრმა მწვერფალიდან  
და გამახსენა:  
სადღაც მენახა ასეთი  
ოდნავ ელამი თვალები

**1964**

\* \* \*

შენ შემოხვედი  
წვეთებით წვიმის,  
აპრილის ტოტებს  
ჩამოებერტყა მზით სიხარული.  
შემოიტანე სუნთქვა ნაწვიმრის  
და ფერადი დღე.

1965

## რ ა ჭ ა

\* \* \*

რაჭა!..

გიხესენებ თუ გიწვევ გასახსენებლად?!

რაჭა...

ომაგაშლილი მთებით

მინდა ახლაც შენი ნახვა

თუნდაც წამით,

იქნებ მეტით!

როცა მიხვალ ახლოს,

მაშინ ხვდები,

თუ რა მაღალია და ლამაზი

რაჭის მთები...

**1965**

\* \* \*

მიგვიტყუა თვალმა  
ავირჩიეთ ციხე  
და მოგვინდა ნახვა შენი,  
„მინდა“ ციხე,  
„გლოლასავით“ გვინდა შენი მოვლა,  
მაგრამ სად ხარ!  
რაც გინახავს, მას ხომ ვეღარ ნახავ.  
იყო ირგვლივ დიდი სიკრცეების ქროლვა  
და რიონი იმტკრეოდა მზეში.  
როცა მიხვალ ციხეს,  
საჭიროა წინასწარი განსჯა,  
ასეთია წესი, გვიცინოდა „წესი“  
და, გაკრული ციხეს, სასაცილოდ ვჩნდებით.  
საგანგებოდ თითქოს მზესაც ვიწვევთ,  
საკუთარი კანის სუნთქვა გვესმის...  
ასეთია რაჭა...  
მიგვიტყუა რაჭამ,  
არ გვეგონა ძნელი  
და ვიცინეთ ბევრი.  
როცა მოგონებად კანს სიწითლე დასჩნდა  
და, გაკრული ციხეს,  
თითქოს დღესაც ვჩნდებით.

1965

\* \* \*

ჩვენ მივიკვლევდით ბილიკს მზისაგენ  
და ოშლებოდნენ ნისლში ნაძვის

ციფი ხელები.

გვიბრუნდებოდა უხილავი, მაგრამ ნაცნობი  
დამძიმებული მიწის სურნელი.

და მისაროდა, რომ ვეკიდე მთასაც ფეხებზე,  
მატარებდა დაბურულ ხევებს  
სიყვარული ხეთა სისოვლის  
და მასრუტებდა ვნებით სიცოცხლეს.  
ეკიდებოდნენ ჩუმი ღიმილით და

სილამაზით

ამოზიდული ნაძვის ხელები ხევებს  
კისერზე

და უბრწყინავდათ წიწვებზე

ცრემლი ბედნიერების...

შენი თვალები მაგონებდნენ ასეთ  
სიცოცხლეს...

მთების სინესტე ისევ მიღვიძებს

გიუურ სურვილებს.

ვგრძნობ, ვიძირები ჩუმ სიყვარულში.

დაბორიალობს ჩემს გარშემო

რძისფერი ნისლი.

**1965**

\* \* \*

და ჩვენ მივქროდით,  
ირწეოდნენ რიტში ვარსკვლავნი,  
ცის ქონგურებს რომ ჩამოჟკიდათ  
საყურეებად,  
და საგსე მთვარე, როგორც ბორბალი,  
დაგორაობდა ღრუბლებში რბილად.  
მანქანის ზურგი,  
ატეხილი ხეების ქშენა რცინის დუმილთან;  
იყო ზმორება შორეულის,  
შეჭიდება ხმის – სიშორესთან.  
ეს სხვა სხვა რაა?  
ცაა თუ ხმაა?  
ნაწილია ბედნიერების,  
თუ მთელი ზღვაა,  
და ხეობაში მანქანის ზურგი,  
შემოჭრილი უცხო სხეულად,  
თანდათანობით ერთდება მასთან  
და ერთ ვედრებად გადიქცევიან!  
ეს ჯადოსნური დამე ლიმილში  
გამოხატვაა უდიდესი ბედნიერების,  
მთების ქონგურებს შემოერტყათ  
ბნელი ნაბდები  
და ვარსკვლავებად ბრჭყვიალებდნენ  
ჩუმი ცრემლები.

1965

\* \* \*

აქეთ-იქით დანისლული ბილიკები,  
ყვავილები მზის მოგვევებიან უკან.  
და სქელ ღრუბლებს გველეშაპზე  
მოგონება ფეხ-ფეხ მოჰყავს,  
რაჭის მთები, აზიდული ნება,  
რაჭველივით ნელი.  
თუ ავიდა, ხომ ავარდა ზეცად,  
თუ არა და – გადევლები ფეხით.  
ქაფ-სოფელი ორი, სამი, ოთხი –  
ერთნაირი სახელების წყება,  
მერამდენედ ონი, წესი, სორი,  
რომ გაგიჯდეს ძვალს და რბილში ნელა.  
და მივდივართ.  
ყვავილები მზის  
შინაურად თვალს გვიკრავენ ნამში,  
ნისლს გადააქვს კარგ ამინდზე დარდი,  
გველეშაპი მზეს გვიბრუნებს უკან.

1965

\* \* \*

შემოტრიალდი, შენს თვალებში  
აიჭრა ზეცა.  
და მეხამუშა, რომ დავინახე  
ორი ცა უცებ.  
და მწველი იყვნენ ცანი მზესაგით,  
იდგა მაისის ნელი ზმორება.  
შენ მითხარი, ეს წუთები გემახსოვრება,  
როგორც ბებიის მოყოლილი  
ტკბილი ზღაპარი.  
...ისე გვინდოდა გადაგეხსწრო  
ყველაფრისათვის,  
რომ გრძნობის სიღრმე გამოგვეპარა.  
და როცა შევრჩიო მერე ერთმანეთს,  
სუსელაფერი ქარს გაეფანტა.

1965

\* \* \*

ვიღოთოთ! ვიღოთოთ!  
ღვინომ წაიღოს ჩემი დარდებიც!  
ბოლომდე დასცალე,  
ბოლომდე ეგ ჭიქა,  
თორემ შემჯავრდები!  
ჭიქები თლილები  
იქით გადააგდეთ,  
დავლიოთ ყანწებით!  
ოუ დალევაა, დალევა იყოს:  
ყანწები! ყანწები!

1965

\* \* \*

ეს ხდება ხოლმე.  
არაფერი არის ახალი  
და მეორდები...  
მერამდენედ განმეორდები?!  
ნეტავი შევძლო, გითხოვა მართალი,  
იწამე ღმერთი!  
მიახლოვდები და მგონია,  
წვიმა იწყება გრილი, შხაპუნა  
და სიმხურვალეს ნაზად მაცილებს.  
ეს შენა ხარ, თუ შემოსახვლელთან  
წვიმა მაცილებს?!  
შენ სულ თანდათან წვიმის ხმასავით  
სულში მიჯდები,  
ძვირად დამიჯენ!  
მერე უშენოდ რომ ვეღარ გავძლო,  
სასურველი თუ ვიქნები სარძლო?!.  
მიახლოვდები და მგონია,  
წვიმა იწყება გრილი, შხაპუნა.

1965

\* \* \*

როცა რბილხმიან ბგერას გასცდები,  
აგედენება ყველა განცდები.  
არ ფიქრობ მაშინ, თუ რა პქენი  
მხოლოდ ბილიკზე,  
თავდავიწყების ვიწრო ბილიკზე.  
მიწევ მზისკენ,  
აკიდებული გაქვს შეკივლება  
უცხო ლანდების  
და ვერ ერკვევი, თუ სანამდეა  
ზღვარი სიცხადის თუ მოლანდების.  
და შორს ჩერდება ჩამავალი მზე,  
როგორც გუმბათი,  
და თან გიზიდავს.  
უცებ შეამჩნევ,  
სხვადასხვა ფერად  
მზე როგორ ჩადის,  
და გადმოგხედავს  
სუსველაზე მაღალ მწვერვლიდან.  
მერე ჩაჯდება უცხო ღიმილში  
და ჩაინოქმევა  
აქვს ამას აზრი?  
დრომ გაგიტაცა!  
ქროლვით ჩნდებიან,  
თრთოლვით ქრებიან.  
წმინდა წუთები ნეტარების  
მზის სასთუმალთან.

1965

\* \* \*

რვიანებს ხაზავს დრუბლები ლამის.  
რით არის მოვრალი —  
ძილით თუ დვინით?  
მე შენს თვალებში  
წავაწყდი ზღაპარს,  
ზურმუხტისფერი განწყობილებით  
და მეშინია თავს დავაჯერო.

**1965**

\* \* \*

არა, არ მინდა,  
არაფერზე არ მინდა ფიქრი.  
შემოდგომაზე დნება ისევ გული  
განცდებში,  
და რომ გავცდები (წლებს რომ გავცდები),  
ნეთუ გავცდები  
და მეც სხვებივით გავიცრიცები  
შემოდგომაზე.  
თითქოს ჯინაზე იღუნება ხე ყავისფერში  
და ყვითელ ფოთლებს კრთომით იფაქლებს.  
მერე ცვივიან, უხმოდ ცვივიან,  
როგორც ცრემლები,  
მკრთალი ფოთლები შემოდგომაზე.  
გაიფინება ირგვლივ სინაზე,  
გაიხაზება ფარული რიტმი  
ფოთოლთა ცვენის,  
ფარული რიტმი ფოთოლთა ცვენის  
შემოდგომაზე.

1965

## გ ა ბ ნ ე უ ლ ა დ

\* \* \*

როცა პაერში კრეფ  
უცხო განწყობას სათითაოდ,  
გინდა ასე იდგე დიდხანს,  
არ დაიძაბო...  
და მთელი დღე  
თავისი ფერებით,  
თავისი სინატიფით,  
გაიტაცო,  
სამახსოვროდ აიტაცო!

1965

\* \* \*

მე დღეს დღის ფერებით ვთვრები,  
სუსველა სხივს ვეკიდები სათითაოდ,  
მზემ გადმოჰყო მკვრივი ხელი.  
მზე გვეხვევა! ჩერდება დრო!  
და იქმნება, და იგება  
პანგი მზეთა სათაყვანოდ!

1965

\* \* \*

გაჯანჯლდა დღე თუ გაჯანჯლლდა  
დღეს, პო, დღეს  
ბევრი თქვეს,  
მაგრამ ერთს ვერ მეტყვიან  
და ვერასოდეს ვერ მიხვდებიან...  
მეცოდინება მარტო მე ერთს!  
სასაცილოა?  
არა!  
სუჟექტაფრისოვის კმარა!  
საჭიროა იცოდე დრო!  
მხოლოდ საჭიროა იცოდე დრო!  
დღეს დიდი დრიალით დრენს  
აკიდებული დღეებზე დრო!  
და არა მარტო დღეს!

\* \* \*

1965

... ასე ქრება,  
ასე ჯდება  
ეს ნაზი დღე, ეს მშვიდი დღე,  
დღე ჯანმრთელი სურვილების...  
შემომხვია მშვიდად ხელი  
და მიმათრებს,  
ვერც თავს ვართმევ  
და მივყები, და ვენდობი,  
თუ ერთობი ჩემით, დღევ, დღეს –  
არაფერი, გაპატიებ!  
სუჟექტაფერს გაპატიებ,  
თუ ამავსებ შენი მშვიდი სინატიფით  
და წამიყვან, სად დაჰქრიან  
ღრმა თვალებით სურვილები...

1965

\* \* \*

რატომ ვზივარ?  
არც კი მჯერა,  
რომ წყნეთში ვარ.  
წინ მთებია, ჩემი მთები ზურგმაგრები,  
და მოვრბივართ ჩვენ ერთოავად,  
ჩვენ ერთად ვართ –  
მე, მთები და სურვილები.  
მზეთა ხმაში ისმის ჩუმი შეძახილი,  
მზემ მიმიღო, მზე მეხვევა  
                                მკვრივი ხელით.  
ღმერთო, ნეტავ მაპოვნინა თავი ჩემი,  
მაპოვნინე... და ვჟითრდებით,  
სუსელანი უცებ ვდნებით,  
ვგროებით, ვქრებით  
და ჩნდებიან ორეულად ყველა ხმები  
... ზეცა გვიღებს  
და ჯადოსნურ ფერებს ვხვდები  
და ერთ წამში შევიცანი თავი ჩემი,  
მერე ისევ ვიფანტები.

1965

\* \* \*

ვგრძნობ, რომ აქა ხარ  
და ჩემამდე კი ვერ მოდიხარ.  
ეთამაშება უცხო შეგრძნებას  
ჩვენი სულები,  
და ვიტანჯები – რა დაგვემართა?  
დღეს ჩვენ სიყვარულს ვემშვიდობებით.  
ალბათ ძალიან დიდი ხნის წასულს  
და მეპუმშება გული ცრემლებში.  
სულ ვეღარაფერს ვედარ ვუშველით!  
ხეს უტრიალებს ერთადერთი აზრი  
გაქცევის,  
მაგრამ ვერ იძვრის.  
და ჩვენც ხესავით ერთ ადგილას  
უდონოდ ვდგავართ,  
ფოთლები ცვივა,  
სიფერმკრთალე გვიმძაფრებს განცდილს  
და ჩუმი თრთოლვა ფოთლების ცვენის  
განვლილ სიყვარულს ჩუმად დასცქერის.

**1965**

\* \* \*

დრო მიდის ბევრი  
და არ ვიცი, რა ადგილს უიჭერ  
შენში და თუნდაც ყველაფერში.  
მზე იწურება,  
მზე იწურება, როგორც ყურძნის  
სავსე მარცვალი.  
დღე იღუნება!  
წელში წყდებიან მრავალნი გზანი  
და ბრუნდებიან,  
დღეს მერამდენედ მეჩვენება  
თვალების ჭრილი.  
მომელანდება, რომ გზად ვიყავი  
შეუნელებელ დიდი წყურვილის.

1965

\* \* \*

ის მიღიოდა.

მიჟყვებოდა ფეხ-ფეხ განწყობა,  
წინ მიწა იყო მძლავრი, მშიერი,  
ცა კი ვარაყით თითქოს აწყობდა.  
გზა იყო გრძელი და ძარღვიანი.  
რატომ მიყურებ?

გაკვირვებული შენი თვალების  
სულაც არ მჯერა!

მოეფინება დრო და გაივლის.  
თავდაპირველად წყენა ძნელია,  
მერე კი ისევ ხდება ადვილი.  
არა, მე განა გრძნობის მრცხვენია,  
ვერ გავრკვეულვარ და ეს მაწუხებს,  
ჭორაობა კი ისე არ მიყვარს,  
ვფიქრობ, ჩემს თავთან რა შემარიგებს!

**1966**

\* \* \*

შევალ, ჰო, შევალ,  
დავანთებ სანთელს.  
ძველი წყლულების გასაყუჩებლად.  
დაიმსხვრევა მზე, აკინძული / გაკროცილი  
ბროლის ჭიქებში,  
ომებს გამინათებს.  
გაიშრიალებს შენი სახელი,  
გაიშრიალებს,  
და ცას შერჩება ცისფერი ალი.  
ვიცი, დამრჩები, რაც არ უნდა ვთქვა,  
დიდხანს თუ არა, – ცოტა ხანს მაინც.  
და მეშინია შენი სახელის თან დატოვება,  
ცას გადავძახებ, რომ წაგიდოს და  
აგიტაცის.  
შევალ, ჰო, შევალ,  
დავანთებ სანთელს.

1966

### შერეული ხმები წვიმაში

და ახლა, როცა წვიმა გათავდა,  
ჩვენ ერთმანეთის ადარა გვესმის.  
იწყება წვიმა და გაბმულად  
ვიღაცა ამბობს  
პირველ მოძახილს.  
მე გავყვები გალუმპულ ქუჩებს  
და შენს პირდაპირ შევჩერდები.  
სველ ხეებიდან ცვივა ცრემლები.  
ეს ხე ატირდა,  
თორემ ჩემთან ცრემლებს რა უნდათ!  
ვედევნებით სირბილით წვიმას.  
სიმღერას აჲყვა ნაბიჯები,  
გზები სველდება.  
თუ მეტყვის წვიმა,  
რომ მატყუებს ჩემ გვერდით ბიჭი,  
გამეცინება, არ მეწყინება.  
განა არ ვიცი, რომ მატყუებს,  
განა არ ვიცი, რომ მეცა ვტყუი.  
მაგრამ მეთვლება, ამ თამაშში  
ესეც მეთვლება.  
აგდევნებით გალუმპულ ქუჩებს  
და ერთმანეთზე გაგვეცინება.

1966

\* \* \*

კვლავ ენძელების ნაზი კანი  
როდესაც სუნთქავს,  
შენც იფინები, თითქოს მათი  
ნელი მშვენებით.  
და როცა მოგრძო ენძელების  
სითეორეს სრუტავ,  
შენც თითქოს თეთრად შეიფერები.  
უკვე გათავდა... აედევნა  
ზმანება წუხილს.  
აედევნა და სადღაც გაქრა  
წუხილი უცებ.  
შენ დარჩი მშვიდი,  
გაუკვირდათ აპრილის ფიქრებს,  
რომ ასე უცებ განგბურნეს წუხელ.  
შენ დარჩი მშვიდი,  
უკან მოგდევს აპრილის დამე,  
აპრილის დამე ღრმა ღიმილით  
და სურნელებით.  
და ნაბავს თვალებს,  
და ათასფერ იმედებს გიოვლის  
აპრილის დამე რბილი სილურჯით,  
და ენძელების ნაზი სურნელი,  
კანი რომ სუნთქავს,  
გიოვლის, იარო ასე დიდხანს,  
დიდხანს,  
უდლელად.  
ამეკვიატოს შენი სახელი,  
როგორც ცდუნება,  
და მომიყვანოს აპრილმა შენთან,  
თუ აპრილია.

1966

\* \* \*

და შენ მირბისარ,  
კვლავ სიცილი გარტყია რკალად,  
მისდევ დროს ასე.  
ხეს მოევლება მწვანე კვირტები,  
გაზაფხულის ძახილით სავსე.  
... შენ შემორბისარ,  
გარეთ მზე არის და სიხარული.  
გარეთ ხეები გაბმულია  
გრძელ, თეთრ სხივებში,  
დაზნექილია ბაღის ჩრდილებში  
ღია სიცილი  
და ბაღახებზე ბრწყინვადა ცრემლი.

**1966**

\* \* \*

მე შენ დაგეძებ,  
მოვდავ გაზაფხულს,  
ქუჩად ვაწყდები  
გოგონას ცისფერ სხივთა თამაშში  
და მასში მოსჩანს გაზაფხულის  
ისეთი ლტოლვა,  
რომ ხალისს გმატებს მისი ხასხასი.  
ოუ წარმოვიდგენ, სწორედ ასეთს  
გაზაფხულს, ალბათ,  
და გაჰყვა ქუჩას,  
და ლამაზი დატოვა პვალი  
შველის ჩლიქებით.  
მე შენ დაგეძებ,  
შენი ნახვა მომინდა უმალ.

1966

\* \* \*

ბაღებში ჩნდება კრიალა ფერი,  
ლამაზ თმის ბრჭყვინვა  
და სურნელება აზიდულ ხეთა.  
გაცრეცილი შეჩვევისაგან ქუჩა, ხები  
ახალ ძახილით შეოდის ჩემთან  
და მე ვიცინი მათთან ერთად,  
ღიად ვიცინი,  
და გვეფინება ირგვლივ ყველას  
ზურმუხტის სუნთქვა.  
ზურმუხტის სუნთქვა,  
ახლად ამოსული ბალახის ფერი.

1966

\* \* \*

შენი სახელი ირეკლებოდა,  
ქუჩას სდიოდა აქა-იქ ცეცხლი,  
რომ გადმოვედი გადასასვლელზე,  
არავინ ჩანდა თითქოს შენს მეტი.  
და მე ზღაპარში ვიყავი თითქოს,  
ირგვლივ სუნთქავდა ყველა ზღაპარით.  
და ხე, დახრილი გადასასვლელთან,  
იისფერ ღიმილს ჰგავდა ზღაპარში.  
და დამის სიოს, ჯადოსნურ ჩრდილებს  
მოჰყავდათ ჩემკენ ნაძვის ხეები,  
მე კი გავრბივარ!  
ვისკენ, საითკენ?  
არ ვიცი, ვერსად კი ვერ ვჩერდები...  
და მინდა მხოლოდ ვიარო ასე  
და სილამაზიო ასე ვტკბებოდე,  
გადავუარო ათასფერ ამბავს,  
შემოვუარო ასე სიცოცხლეს.  
ნელა მივდივარ, კრიალა ჰაერს  
აჩნდება ფრთხილად შეხება შენი,  
ღამეში ჩნდება თვალები შენი  
შენი სახელი ამეკვიატა მთელი საღამო.

1966

\* \* \*

ქუჩა კი იყო ისე დამრეცი,  
ქუჩა კი ისე დიოდა მშვიდად,  
რომ არ ვიცოდი, თუ რას გეტყოდი,  
რომ შეხვედროდი ამ ქუჩის პირად.  
მტკვრის იქით შენი პატარა ქუჩა  
ვიწრო ბილიკად ჩამოდის მტკვარზე  
და აკაციის ძველი ხეები  
თითქოს ჰყვებიან შენს სკოლის ამბებს.  
ასე ვეცხობი შენს მოგრძო ქუჩას,  
თვალს მადუვნებენ სახლის კედლები,  
რომ დაგინახო მე ალბათ უმალ,  
გავიძევი, ვერც მომედევნები.

1966

\* \* \*

დღეს მთელ ქუჩაზე  
აუყრიათ ძველი ასფალტი  
და ახალს დებენ დიდი ხალისით...  
ათასი ხელი, მხარი, ბარი  
ერთად გადადის  
და იფინება ირგვლივ რაღაც  
სუფთა ახალი.  
... ეს მე მოვდივარ,  
ოუ მიგრძენი, ქუჩავ, სიახლედ.  
დღეს მე მოგაგნე და შენს ანბანს  
გსწავლობ აქედან  
და იფინება შენი სახლები ჩემს  
შესახვედრად,  
მაგრამ ის ერთი ნეტავ საით დგას,  
ნეტავ სადა დგას?  
როგორია — დიდი, მაღალი,  
ოუ აგურები უცინიან მეჩეერ კბილებით,  
და კრამიტიდან ეხატება წვიმის კაკანით  
დაბალი ჭერი.  
მე ვერ ვიპოვე.  
შენც დაგპარგე  
და რაღა მინდა?  
მოვეშვა ქუჩას, გავიდე გზაზე.  
მას კი არ უნდა ჩამოშორება,  
მომყვება მხარზე  
... ო, მოვრჩე ზღაპარს,  
თორემ ვგავარ პატარა გოგოს,  
პატარა გოგოს ფერად ბუშტებით,  
და ხელს რომ უშვებს,

აფრინდებიან ათასფერადად,  
მას კი პგონია, იპოვის საღმე,  
სიზმრადაც ნახავს მხეში გაფანტულ  
ბუშტებზე დამე.  
და მგონი ვგავარ მე ასეთ გოგოს...  
... დღეს მთელ ქუჩაზე აუყრიათ  
ძველი ასვალტი და ახალს დებენ  
დიდი ხალისით.  
და იფინება მთელ ქუჩაზე  
რაღაც ახალი,  
მე კი დღეს სწორედ  
ამ გზით წავედი.

1966

\* \* \*

შენს პირდაპირ,  
შენს პირდაპირ  
დაქანცული მე დავდგები.  
ეხლართება აპრილს ტოტი სიყვარულში,  
მზე აბრჭყვინდა ატმისფერი.  
ისე მსურდა მოგსულიყავ,  
ისე მსურდა მოსულიყავ!  
მაგრამ სად ხარ, სად ხარ,  
სად ხარ?  
შენ აქა ხარ  
და არცა ხარ!  
... მზე შრიალებს  
და შრიალში შენი ხმაა  
და ქუჩებზე გადმოსცურა  
ოჟორმა მზერამ.  
შენ კი თითქოს ვერც კი გხედავ...  
თუ დავბორკე მე ეს გრძნობა,  
თუ დავბორკე,  
სიყვარული უნდა ერქვას?  
ჩამოცურდა ნელა ნამი,  
ყელს მეხვევა გამოხედვა,  
როგორ მინდა ავიტაცო ხმები მზეში,  
დავირბინო რუსთაველის ხის წვერებზე,  
შევისუნოქო ისე ხარბად აპრილის ხმა,  
რომ გავშეშდე,  
რაღაც ჩუმი გამოცანის გასაგებად.  
შენ მომყვები და ცისკარში  
ჭიშკარს ადებ,  
ჭიშკარს ადებ საიდუმლო გასადებით,

გასაღებზე ბრჭყვიალდება შენი თმები,  
შენი სახე, შენი სახე, ნასიზმრევი,  
ირგვლივ ჰქრიან ვარდისფერი აჩრდილები.  
ირგვლივა მოძნეული უცხო შუქი,  
უცხო შუქით ნათდებიან აჩრდილები.  
და მომინდა, რომ შევიცნო  
    მე ამ შუქით,  
ისევ შენი, ისევ შენი ხასიათი,  
რაღაც უცნობ სუდარაში მომწყვდეული.  
ირგვლივ დაჰქრის, ირგვლივ დაჰქრის  
    მრავალგვარი,  
                მრავალფერი  
                აჩრდილები,  
და მეც გეძებ, რად მგონიხარ  
ვარდისფერში?  
ვარდისფერში რად დაგეძებ ასე მუდამ?  
იქნებ, იქნებ სულ სხვა მხარეს  
    მომეძებნე,  
იქნებ, იქნებ სულ სხვა ფერის  
    სული გბურავს.  
და მიჰქრიან ოცნებანი გამოცანით,  
ამოუცნობ ნეტარებას რაღაც წამით  
შევუპყრივარ და მგონია, რომ ეს არის,  
გაგიცანი...  
მაგრამ მაინც ვინ ხარ? რა ხარ?  
შენ აქ ხარ და მაინც არ ხარ!

1966

\* \* \*

შენ ქარს გამოჰყევ,  
ოუ მოგიყვანს, ჩემთან მოგიყვანს,  
და შენს რბილ თმებში  
აბრჭყვინდება ვერცხლის ზღაპარი,  
შორი ზღაპარი, შორი მთებიდან.  
ასე დიდხანს რომ ჩემთან ვმალავდი.  
პო, ქუჩებიც კი ვერ ფარავენ  
ფარულ სიხარულს,  
ეჯახებიან ქარისაგან მოდენილ ფიქრებს,  
იქნება დამეც ზღაპარშია —  
ხელდახელშუა გამიქრეს იქნებ.  
შენ ქარს გამოჰყევ,  
ოუ მოგიყვანს,  
ჩემთან მოგიყვანს,  
ათასგვარ ამბებს  
ჩემზე მოგიტანს,  
და შენს რბილ თმებში  
გაბრჭყვინდება ვერცხლის ზღაპარი,  
შორი ზღაპარი შორი მთებისა,  
ასე დიდხანს რომ ჩუმად ვმალავდი.

1966

\* \* \*

სანთელი სუნთქაგს  
ჩემი სხეულის ჩუმი ცახცახით,  
კედელზე ჩნდება წარწერები უკვე ათასი,  
შენ რჩები ჩემთან,  
ხელს მომხვევ და უხმოდ მამშვიდებ,  
მაგრამ კედელზე სანთლის ჩუმ ცახცახს  
რა დაამშვიდებს?  
და მელანდება, სანთელივით აალებული  
შენი ფიქრები თავს მეხვევიან...  
ასე ძლიერ რომ მაწყდება გული,  
ნუთუ ისევე არაფერია?

**1966**

## ერთია დღე გელზე

ფიქრია ზანდუპელს  
(დაბადების 70 წლისთავზე)

პირმა დაგლოცოს დვთისაგან,  
ნაწილმა ბარძიმისამან,  
ლომისამ თორმეწამება,  
პატრონმა არაგვისამან.

ხალხური

მისდევ ხალისით სოფლის აღმართს.  
ლვივის იმედი – იქნებ წააწყდე  
ობოლ მარგალიტს.  
იწვერება მზე, ხალხი ფუსფუსებს,  
ალლოთი აგნებ მათში დედაბერს,  
კუშტი მზერით დობესთან მიმჯდარს.  
ის, მონუსეული შენი ღიმილით,  
მალე გიტბება.  
ძაბავს გონებას, იგონებს ამბებს.  
ერთ-ორ საათში დედაბერი  
უკვე შვილად გთვლის და გეფერება,  
ლოფაზე გისვამს სიბერისგან  
გალეულ ხელებს.  
გამოაცოცხლა შენმა სითბომ.  
თვალებში გიკროის ღიღილოს სხივი.  
ასეთ შეხვედრებს კი ითვლი რამდენს.  
უკან ბრუნდები, ამ დღეს ტყუილად  
არ ჩაუვლია.

სოფლის შარაგზას ანათებს მოვარე.  
მთას შეფენილი ოდა-სახლები  
თავს დაგცექრიან.  
შორიდან ისმის სოფლის ხმები  
და თან მოგყვება სუნთქვა ხეობის.

## ს ა ლ ა დ ო ბ ო

### გამოთხოვება სკოლასთან

ჩვენ დღეს ზეიმზე მოველო!  
ჩვენ დავამთავრეთ სკოლა.  
მერე ოცი წლის შემდეგ  
ალბათ ხელახლა მოვალო.  
გუშინ ვნატრობდით, გახსოვთ?  
— სკოლას მოგშორდეთ ნეტავ,  
გუშინ სულელნი ვიყავთ,  
ეხლა კი ვნანობთ მეტად.

თითქოს სიზმარში ვნახეთ:  
გვლავ გვიწყრებოდა წვერა,  
ქოთქოთას ქოთქოთითაც  
ყურები გაბეჭდება;  
მაგრამ ზრუნავდა ჩვენზე,  
როგორც ნამდვილი დედა.  
დავრბოდით დერეფნებში,  
როცა ცდებოდა ხაზა,  
შოთას გაკვეთილს ისევ  
ცივი გულები დახვდა.  
ორ გაკვეთილზე ბმულად  
გუსმენდით ბაბოს დაღადს.  
ვალია ჩხენკელიც ბევრჯერ  
გაგვიმართავდა კამათს,  
ოჲ, ბევრი რამე ჩვენში  
ჩაიბეჭდება ახლაც.

მაგრამ როდესაც ტკბილად  
ვახსენეთ სკოლის დრონი,  
არ შეიძლება, რომ არ  
ვახსენოთ სოლომონი –  
კაცი, რომელიც ყველას  
გვიყვარდა, პატივს ვცემდით,  
ეხლა საფლავში წევს და  
მოვიხსენიოთ კარგად.  
რადგან ვიხსენებთ იმათ,  
ვინც ჩვენს რიგებში არ დგას.  
უნდა გვახსოვდეს ყველას,  
აქ გოგონებს მივმართავ,  
ჩვენი ღობილი ძველი –  
ნაზი, უჭირობი ია,  
მოგვაკლდა ჩვენ და ამით  
გულს დაღი დაგვაჩნია.

მოგონებები გაქრეს,  
ჩვენ დღეს სიმღერა გვშვენის.  
დღეს ხომ ზეიმზე მოველთ,  
გააბრჭყვიალეთ სხვენი!  
და, მეგობრებო, მე თქვენ  
მოგმართავთ ნათელ გულით  
ალბათ თვითეულ ჩვენგანს  
ექნება დაფარული  
გულში, რაც უნდა გითხრათ  
გულისტკივილი ძველი:

ნუ დაივიწყებთ ამ დღეს,  
ნაზსა და ვარსკვლავიანს,  
მკრთალ ან კაშკაშა ფერში  
გამოიკრთობა სახე,  
ნაცნობი, ახლობელი,  
იცოდეთ, სკოლის მერხი

საყვარელია უფრო,  
და ამხანაგიც ძველი  
ტკბილია და საოუთო.  
როცა გაივლის წლები,  
შევხვდებით ერთად, ვნახავთ,  
პირშავად ვინ მოგვექცა,  
ვინ დაგვივიწყა, გაქრა.

მაშ, ამ ბედნიერ ღამეს  
შეხედეთ ყველამ რწმენით,  
რომ მომავალში ყველგან  
ჩვენ მეგობრები გველის.

**1958**

\* \* \*

ჩემს პატარა ყვავილიანს  
ტელეფონი კლავს.  
სვალ უზმოზე ბურატინო  
მზე დაუკრავს თავს.  
ჩემი პრინცი ლიმონი კი  
ცალ ფეხს აჟრავს ცას,  
მე კი გვიან გავიღვიძებ,  
ვინც რა უნდა თქვას!

**1961**

ლ ი ა ს \*

I

შენ ინგლისურს ვერ ისწავლი ასე!  
თუ იფიქრებ საქართველოს თასზე,  
ყველაფერი შეიძლება ჯანდაბაში წავიდეს,  
მაგრამ მაინც დაუჯერე ამინდებს.

მზეზე ზეცად გელირსება აფრენა,  
ტყვილა გითხრა შენ ჯოყოლას ბაგემა? –  
ფრთოსანოო ოცნების და ფიქრების,  
საბოლოოდ მაინც ჩემი იქნები.

1962

II

იყო და არა იყო რა,  
იყო შავთვალა გოგონა,  
თმაც ხომ შავ ყორანს უგავდა,  
გარსკვლავნათოვი მეგონა.

მზემ უთხრა: გაბებუტები,  
დასომეო შავი ფერია,  
და თავზე გადმოაყარა  
სხივები ოქროსფერია.

განაზდა უფრო გოგონა,  
ცეცხლად აენოო თვალები,  
თმის ფერი დასომო, თვალებს კი  
უმატა შავი ფერები.

1963

\* იგულისხმება ავტორის მეგობარი ლია ჭავახაშვილი, მთარგმნელი, ინგლისური ენის სპეციალისტი.

III

აქა ლექსი მაყვალასი  
მუნ ლიასა დღეობასა,  
მიწერილი უკვე უახლესი ქართულით.

ისევე ისევ ღია მასპინძლობა,  
ისევე ისევ ვლინობთ და ვხულელობთ  
და წლებს ვუკივით...

ვუკივით...

ვუკივით...

სადა ხარ,  
სადა ხარ,  
სადა ხარ,  
სულიკო?!

უკვე ახლოა გული სპექტაკლის,  
კვანძი თამაშდება  
და

უცებ  
მაღლიდან  
მოუთმენელი ყვირის ქანდარა:  
– მოემართება კულმინაცია!!!

დღე ქარგას სიცილის ფერებით იტაცებს  
და თამაშდებიან სცენები თავიდან  
ვხედავთ, შენს ფერხთან  
მუხლს იყრის  
ადამი

და გთხოვს:  
– დავიწყებ ჩემს როლს აქიდან!“

1965

## ს ი მ დ ე რ ა („ნუცაობაზე“ სამღერი)

ტექსტი მაყვალა ქოჭლავაშვილისა,  
მუსიკა – ხალხური „დელი-დელიას“ ხმაზე

რა ვქნა, რა ვუყო  
ამ ნუციკოს?!  
რა ვქნა, რა ვუყო!  
„ნინაობაზე საჩუქარი  
აღარ გავიგო!!!“ –  
გამომიცხადა:  
– დაგაგორებ კიბეებზეო.  
რა ვქნა, რა ვუყო  
ამ ნუციკოს,  
რა ვქნა, რა ვუყო?!  
გამოსავალი  
მაინც მოვნახე –  
მოულოდნელი საჩუქარი  
გამოვუნახე!

**დელი-დელია, ჩემო ნინო,  
დელი-დელია!**

ამ სიმღერას კი ნინაობას  
ხომა მდერიან!  
მრავალჯერ ქუხდეს ეს სიმღერა  
შენი ჭერის ქვეშ  
იყავ დღეგრძელი, ჩემო ნინუც,  
მრავალ-ჟა-მი-ერ!!!

**1994 წლის 27 იანვარი  
(ნინოობა ძვ. სტილით)**

## ნინოს და გიზოს\*

მადლობა გითხრათ,  
დღესდღეობით,  
მე ლექსის გარდა  
ვერაფრით შევძლებ.  
როგორც ნათელი,  
ისე შემოდის „ჰუმდახმარება“  
ჩემს განჯინაში,  
ცარიელი ჭურჭელის გვერდზე,  
და მმატებს ხალისს.  
როგორც მერცხლები ადრეული  
გაზაფხულის პირს,  
ცას რომ ახედავ.

2000

---

\* მიძღვნის ადრესატები არიან ავტორის თანაკლასელი და მეგობარი ნინო (შინაურულად ნუციკო) ლვალაძე (ბიოქიმიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი) და მისი უფროსი ძმა გიზო ლვალაძე (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი).

## რ გ თ ნ ი

(პოემა უამრავი სიტყვებითა და ფაქტებით)

ს ი მ დ ე რ ა  
(შესავლის მაგიერ)

ჰაი - ჰუი - ჰოი!  
რა კარგია რკონი!  
ან რას გვიზამს წვიმა,  
ან რას გვიზამს თოვლი!  
მიგვყავს ორი ალპინისტი,  
ალპინისტურ თოკით,  
მინისტერი ცენტერაძეც  
„გრუზავიკით“ მოდის!  
დავიწყებ ამბავს,  
რომელიც არ ჩანს,  
რომელიც ფირმა ვერ გადაიდო,  
ასე რომ, ჩემო ამხანიკებო,  
ცოტა ხანს კინოს თავი ვანებოთ!

## აქა ამბავი პირველი

არ უჩანს თავი,  
არ უჩანს ბოლო,  
მანქანის ზურგით მივიკვლევთ გზას?!  
ჩქარა დამდება, შოგერიც გვტოვებს,  
დიდი რჩევის და ქოთქოთის შემდეგ,  
(აფსუს, ჩამწერი არ გვქონდა თან),  
ვიკიდებთ უხმოდ მძიმე რუკზაკებს,  
უკუნ დამეში მივიკვლევთ გზას.  
უცებ გამოჩნდა, როგორც ზღაპარში,  
სინათლე მკრთალი და გვესმის ხმაც!  
გამოემართნენ ჩვენკენ აჩრდილნი,  
მათ – ანგელოსთა გვასწავლეს გზა.  
ირგვლივ მდუმარე შავი მთები და  
შორით მოისმის მდინარის ხმა.  
დიდი სიფრთხილით გაგვაკვლევინეს  
ხელისგულივით სავალი გზა.  
და აიმართა ჩვენს თვალწინ უცებ  
ძველ ქართველთ მიერ ნაშენი ქვა.  
ავაფრიალეთ ფერმკრთალ პედლებზე  
მკრთალი სანთლების ენები კვლავ!  
გრძნობით კითხულობს ვანო ვაჟას ლექსს,  
ზოგსაც თავისას გაურევს თან.

\* \* \*

სახელდახელოდ გაიშალა პატარა სუფრა  
და განაწილდა იმ დამესვე ჩვენი როლები,  
ხელში ჩაიგდო ჩვენმა გულიკომ მზარეულობა  
და ამის შემდეგ... რას ვიღონებდით!  
და ჯარასავით დატრიალდა გულიკო ისე,  
რომ გამოსტყუა გელას სონეტი:  
ცოლის მოყვანას რომ ვაპირებდე,  
გულიკო, გესმის? – შენ გითხოვებდი!

\* \* \*

იმ დამქს ჩვენმა ალპინისტებმა  
გამოგვიძებნეს ვიწრო სენაკი,  
სამი საათის განმავლობაში  
საძილეები ჭედეს ძალათი.  
მშვენიერი! – ხარობს გულიკო,  
ეკლესიაში იძინებს ისევ  
და მტვრის, სინესტის გარემოცვაში  
სუსველა ვხედავთ  
ტკბილზე-ტკბილ სიზმრებს!  
აქ მე ვერ ვიტყვი  
კოტეს წვალებას,  
ვერც გოგოების საძილეო ჭიდილს,  
ვერც იმას, როგორ  
ჩვენს გმირ გენერალს  
ვერაგმა მხეცმა დაუფრთხო ძილი!

## დღეი მეორე

სურათი პირველი

მოჩანს ძველი ნაგებობა.  
სენაკის კარებთან დიდი ხე  
წითელი ჭირჯებით  
გათენდა დილა.  
გადაიშალა თეძამის ხევში  
ჩამსხდარი მოები.  
ყველა ფეხზეა, ყველა ამდგარა,  
არ ჩანან მარტო  
ზარმაცი დები!  
ჩვენმა მამაცმა ალპინისტებმა  
სულ მოიარეს გარშემო მოები,  
მაგრამ დაბრიდა გამოქვაბულმა,  
არ ეყოთ თოკი  
და დარჩნენ ქვევით!

### აქა ამბავი კარვის გაშლისა

დათოს და ელდარს, –  
ამბობს ლეგენდა, –  
ჩამოუგდიათ მთებიდან ლოდი  
და დაუთქვამთ:  
სად გაჩერდება,  
იქვე დაგჭიმოთ კარვების თოკი.  
მართლაც იმ ადგილს, თეძამის პირად  
ტურფა სურათი გადაშლილიყო:  
კარავი სამი წამოჭიმული,  
მეოთხე იქვე წაფორთხილიყო.  
კოტე და გელა, ამბობს ლეგენდა,  
სიმწარისაგან ცრემლებს ურიდნენო,  
იმ სამ კარავში რომ ვერ ეტივნენ  
და მეოთხეში არ კმარიყვნენო!

.....

და აიმართა ბანაკს ალამი  
გენერალ დათოს გვართა ამალიოთ,  
ფირზედაც ვხედავთ, თავის ნათესავთ  
როგორ ხელს უწყობს  
და არ მალავდის!

**აქა ამბავი  
ფარულ ასვლისა სამლოცველოზე**

იმ დღეს დავიპყარო  
ჩვენ ძეგლი ერთი  
ჩუმად ავედით, ვტიეთ ბანაკი,  
ქვემოთ მოჩანდა გენერალთ გვარი  
და ჩვენ სიხარულს ვერა ვფარავდით.

\* \* \*

ო, ეს სამლოცველო,  
პატარა, ფაქიზი,  
გარდასულ საუკუნეთა  
უტყვ სურათს იტევს  
და მის კედლებზე  
გაყენებული  
ძველი ფრესკები  
ჩვენს ქართულს ისმენს.  
ო, ვინ აგაშენა!  
ო, ვინ დაგამშვენა!  
და თითქოს თავიდან  
ავიდგით ენა!

\* \* \*

უცებ ვერპეევით,  
და უცებ ვხედავთ,  
რას აკეთებს თიკა?!  
დაითრია დიდი ქვები,  
გულში ტებილად იკრავს!  
ო, ქვებო, ქვებო,  
ჩემო ცისფრებო,  
თქვენთან სიშორეს  
ვერ მოვითმენო!  
თან წამოიღო დიდი ლოდები  
დიდ სასოებით და სიტკბოებით!

### ლხინი პირველი

ღამე იმართა დიდი ღრეობა,  
თამადად დაჯდა ელდარი ტახტზე,  
მწვადების ატყდა კორიანტელი,  
ღვინის თასები გადმოდის სავსე.  
ისევ ავივსეთ ღვინის მშვენებით,  
რომ მეც ავმდერდი  
წმინდა ბგერებით!

\* \* \*

თამადის მოადგილე,  
პატივცემული გელა,  
მალე ისე დაითრო,  
რომ ფეხზე ძლივსა დგება .  
მაგრამ გელა რაა?!  
მაგრამ დათოც რაა?!  
ყველას სჯობნის ჩვენი ირა,  
რა, რომ პატარაა!

\* \* \*

და დაილია იმდენი ღვინო,  
რომ კარავიც კი თითქოს დაქანდა  
და სულ ფხიზელი ჩვენი თამადა  
გასასწიორებლად მისკენ გაქანდა!

\* \* \*

უცებ ყველა ცეცხლთან მჯდომი  
თრთოლვამ აგვიტანა,  
გენერალი გაბგიბიჟდა  
და რაღა ვქნათ ახლა!  
კოცონთან დგება შავი აჩრდილი,  
გულაჩვილებით ტირის,  
შეუმწვარი მწვადი ვარ და  
ხედავთ, ცეცხლი მიცდის!  
და გაქანდა ჩვენი დათო  
პაჭიჭებით ცეცხლში,  
მაგრამ მისმა შავმა ხორცმა  
ცეცხლს ვერ მისცა ეშხი!

\* \* \*

თუკი დათო მწვადი არის,  
დავაშავე რამე?!

მე ვიქნები თავთავი რა,  
სულაც მთელი დამე!

\* \* \*

ასეთ დავიდარაბაში  
თავთავი და მწვადი  
ცეცხლს ურბოდნენ გარეშემო,  
ჩვენ გავთავდით დარდით!

### ბალადა ორი საათით წამოსულ წვიმაზე

ამაღამ მშვიდად გეძინოთ ყველას, –  
გვაფრთხილებს გელა, –  
არ შეგაშინოთ წუთითაც წვიმამ,  
ვიქნები ფრთხილად!  
მაგრამ ჩასოვლიმა მინისტრს უეცრად,  
ორი საათის განმავლობაში  
წვიმამ იხელთა დრო, დაასველა  
ჩვენი გენერლის დიდი კარავი.  
მშრალად გადარჩა იქ გენერალი,  
მხოლოდ ინაცვლა მეორე მხარი!

### ექსპრომტი გულიკოზე დამით

თუ წამოგვებათ სადმე გულიკო,  
თან არ წაიღოთ, გირჩევთ, საათი!  
ეოგელ საათში ასანთს აანთებს  
და ემსგავსება ტიკტიკს საათის!

### ამბავი დათოსა და ვანოს დათრობისა

რვა ნოემბერს,  
ჩემი დაბადების დღეს,  
უნდა ყოფილიყო დიდი ღრეობა.  
დილაადრიან მოგვადგა ვანო,  
დათომ იხმარა მომჯირნეობა  
და დვინის ნაცვლად (ცოტაა დვინო)  
დალიეს ორთავ მაგარი სპირტი,  
ხიდს გადავიდნენ ბაჯბაჯ-ბაჯბაჯით  
და საუბრები გამართეს დიდი.

### სკერცო გელას ქოშებზე

არ შეიძლება არ აღინიშნოს  
ჩვენი გელიკა  
თავისი ქოშით.  
როცა იცვამდა  
დილით ხელებზე  
და მოცოცავდა  
კარვიდან ქოშით.  
კოცონთან ნელა  
და ტანის რხევით,  
დილაადრიან ისეირნებდა,  
მერე კი ქოშებს  
ცოტა ნამიანს,  
დიდ სიყვარულით  
უკან დასდებდა!

## ლხინი 8 ნოემბრის აღსანიშნავად

და რვა ნოემბერს,  
ჩემი დაბადების დღეს,  
გაიშალა სუფრა,  
თამადაა დათო.  
ეს რა მოსდის სუფრას უცებ,  
სადღა არის ხალხი?!  
შერჩა მხოლოდ ღვიძლი ძმა  
და საყვარელი ნანი.  
და რვა ნოემბერს,  
ჩემი დაბადების დღეს,  
შეემატა ღვინო  
სულ თებამის ხევს.  
გხელსაქმობდით ჩუმად,  
დარაზმულად, მარდად,  
მაგრამ კოტეს თვალებს  
გამორჩება რამე?!  
მაგრამ მარტო კოტე  
გედარაფერს გახდა:  
ათი ბოთლი ღვინო  
მიმოეხსა ბალახს!

\* \* \*

დათო, უღონოდ მიძინებული კოცონის  
პირად,  
ზოგჯერ აქა-იქ ალერსით ხვრინავს,  
ლალიმ და კოტემ დიდი ვაგლახით  
წამოიკიდეს, შესვეს კარაგში.  
ყველა დავმშვიდოთ, მაგრამ ეს რაა? –  
ყვირის ციკლოპი თუ რკონის დევი?!  
რაღაც ურჩხული დიდი კარვიდან  
კოცონისაკენ სკუპ-სტუპით მოჰქრის.

საწყალი ლია წამოიკიდა,  
ბეწეზე გადარჩა, აგდებდა ცეცხლში!  
და უსათვალოდ ვერას ხედავდა,  
მისი ღრიალით დაფეოდნენ მსეცნიც!

### აქა ამბავი უკან დაბრუნებისა

რია-რია  
ამას ჰქვია,  
მეოთხე დღეს დილით  
შევუდექით კარვის დაშლას.  
უცებ გელა ყვირის:  
ო, შეჩერდით,  
არ ჩამიცვამს  
ჩემი თეორი სვიტრი!  
და ფოსტლებში მოსეირნეს  
ვერ გაუძლო გულმა,  
აიფარა თვისი სვიტრი,  
მერე ჩადო უკან.

### გზაზე ხიფათი, ანუ შავი გამეჩი

მოსაგონებლად ძალიან ტქბილი  
უკანა რჩება თეძამის ჩრდილი,  
უცებ შევნიშნეთ ლალი კამეჩი,  
ყელმოღერებით გვიყურებს, გვიცდის.  
ეგლამ აღვნიშნეთ, ასე ლამაზი  
ჯერ არ გვინახავს კამეჩი არსად.  
უცებ რას ვხედავთ?  
კისერის რხევით  
კამეჩი ჩვენკენ გამოექანა.

გელამ იკივლა:  
„მე კი გავრბივარ,  
ვერ დამეწევა,  
თქვენ კი – ჯანდაბას!“  
დათომ დაავლო ხელი ორ დიდ ქვას.  
გენერალური გეგმა მოხაზა.  
კანკალ-კანკალით მივდოდავთ ნელა,  
უკან მოგვყვება ჩლიქი კამების,  
უცებ იცვალა მიმართულება,  
ამოვისუნთქეთ,  
არაფერს გვერჩის!...  
ასე გვაჭამა კამებმა შიში,  
აფსუს, არ დაგვრჩა სურათი მისი!...  
მაგრამ დანარჩენ ცხოველთა ნახვა  
თუ მოგინდებათ ოდესმე რკონის,  
მიმართეთ იას, არსად დატოვა,  
სულ გადაიღო  
ხბო, ძაღლი, ლორი!

### სიმღერა, ეპილოგად რომელიც გამოდგება

უკან მოვდივართ  
ჩვენი ალამით,  
ფეხ-ფეხ მოგვყვება  
კინო და ფოტო!  
სულ გადავიღეთ დოკუმენტურად,  
რა გამოვიდა, არ ვიცი, ბოლოს!

1966

## სარჩევი

რედაქტორისაგან .....3

### 1960

\*\*\* ჩიტმა მოხაზა ლადი კამარა .....5  
\*\*\* ლამაზი არა ხარ .....5

### 1961

#### დავითგარეჯი

\*\*\* გარეჯმა გამყარა საბურავი .....6  
\*\*\* სულმოუთქმელად ავდიოდი .....7  
\*\*\* სწორედ ამ ნაპრალზე .....8  
\*\*\* როცა დაიგვიანებდა წვიმა .....9  
\*\*\* და ვარ უდაბნოსა შიგან .....10  
\*\*\* მე და კელაპტარი .....11  
\*\*\* ცა... ცა... ცა... .....12  
\*\*\* დაჰკრეს თასები! დაჰკრეს თასები! .....13

### 1962

\*\*\* ალი, ალი, ლურჯ-მოშავო გზა .....14  
\*\*\* გარეუბანი. წადილთა დრო .....15  
\*\*\* ნელა, თორემ ვალსებმა .....16  
\*\*\* მან თქვა, ვნახოთო .....16  
\*\*\* გადასასვლელთან ის დგას .....17

#### ა ნ ჩ ი ს ს ა ტ ი

\*\*\* სიონის თბილისი .....18

#### ს გ ა ნ ე თ ი

\*\*\* დღეს მარტო ვრჩები .....19  
\*\*\* ალმოდებული მზეს უცინის .....20  
\*\*\* ლამარია .....21  
\*\*\* სადღაც წიოდა ძნა .....22  
\*\*\* სიცილი ზეცის .....23  
\*\*\* მინდორზე იწვა მთა .....24

*** რა უნებართვოდ გიცინიან .....	25
*** შენ მოხველ, შემოხველ .....	26
*** ერეკება დღეებს ნოემბერი .....	27
*** ხარ აღმართული .....	28
*** მირბის, ქარი ასწრებს .....	29
*** შენ მოხვალ, დამეა მგლის .....	30
*** გაშვლეპილ ხეებს ქარი ჰკოციდა .....	31
 <b>1963</b>	
*** წვიმს... წამწამებზე გადარბის წვიმა .....	32
*** დიდი ხმაურით ზღვაში ყვინთავს .....	33
 <b>1964</b>	
*** დღეს სამუდამოდ მივდივარ შენგან .....	34
*** აღარაფერზე აღარ ვიფიქრებ .....	36
*** ქარი მოგვსდევდა .....	37
 <b>1965</b>	
*** შენ შემოხვედი წვეთებით წვიმის .....	38
 <b>რ ა ჭ ა</b>	
*** რაჭა!.. გიხსენებ თუ გიწვევ .....	39
*** მიგვიტყეა თვალმა .....	40
*** ჩვენ მიგიკვლევდით ბილიქს მზისაკენ .....	41
*** და ჩვენ მივქროდით .....	42
*** აქეთ-იქით დანისლული ბილიქები .....	43
*** შემოტრიალდი, შენს თვალებში .....	44
*** ვილოთოთ! ვილოთოთ! .....	45
*** ეს ხდება ხოლმე .....	46
*** როცა რბილხმიან ბგერას გასცდები .....	47
*** რვიანებს ხაზავს დრუბლები ლამის .....	48
*** არა, არ მინდა .....	49

## **გაბნეულად**

*** როცა პაერში კრევ	50
*** მე დღეს დღის ფერებით ვთვრები	50
*** გაჯანჯლდა დღე	51
*** ასე ქრება	51
*** რატომ ვზიგარ?	52
*** ვგრძნობ, რომ აქა ხარ	53
*** დრო მიღის ბევრი	54

## **1966**

*** ის მიღიოდა	55
*** შევალ, ჰო, შევალ	56
შერეული ხმები წვიმაში	57
*** კვლავ ენდელების ნაზი კანი	58
*** და შენ მირბიხარ	59
*** მე შენ დაგეძებ	60
*** ბაღებში ჩნდება კრიალა ფერი	61
*** შენი სახელი ირეკლებოდა	62
*** ქუჩა კი იყო ისე დამრეცი	63
*** დღეს მთელ ქუჩაზე	64
*** შენს პირდაპირ	66
*** შენ ქარს გამოჰყევ	68
*** სანთელი სუნთქვას ჩემი სხეულის	69

## **2003**

ერთი დღე ველზე (ფიქრია ზანდუკელს)	70
-----------------------------------	----

## **ს ა ლ ა ლ ო ბ ო**

გამოთხოვება სკოლასთან	72
*** ჩემს პატარა ყვავილიანს	74
ლ ი ა ს	75
სიმღერა („ნუცაობაზე სამღერი“)	77
ნინო და გიზოს (და-ძმა ლვალაძეებს)	78
რ კ ო ნ ი (პოემა)	79

